თავისუფალი ხედვის აკადემია

პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი

საერჩევი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა……3
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები……3
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისა და გაუქმების წესი……3-4
სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება……4-5
პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება……5
პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად წარსადგენი დოკუმენტები……5-6
პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვა……6
სასწავლო რეგისტრაცია……6
სასწავლო ხელშეკრულება……6-7
პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება……..7-8
პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა……...8
პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტა……...8-9
მობილობის წესი……10-11
პროფესიული სტუდენტის ფინანსური ვალდებულებები……..……..11
პროფესიული სტუდენტის უფლებები……..……..11-12
პროფესიული სტუდენტის მოვალეობები……..…12
პროფესიული სტუდენტის წახალისება……..…13
დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები……..……13
პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაცია……..…..…13-14
ადმინისტრაციულ-საინფორმაციო მხარდაჭერა……...…14
სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური გარემოს უზრუნველყოფა……..…..…15
არაფორმალური განათლებისა და სტუდენტური ინიციატივების წახალისების მექანიზმები……..…...…15-16
სისტემური ღონისძიებები სტუდენტთა მხარდაჭერისთვის……..…..…..16
არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები……..……...…16-17
სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერა……..……17
პროფესიული სტუდენტთა კლუბი……17-18
არაფორმალური განათლებისა და ფორმალური განათლების აღიარება……18
უცხოეთში მიღებული პროფესიული განათლების აღიარება……..…..…18-19
საგანმანათლებლო დოკუმენტი……..……..19

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამა იქმნება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტის - პროფესიული კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და დარგობრივი პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა იქმნება პროგრამის განმახორციელებელი პირების, პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლის და ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერის ჩართულობით.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრნველყოფის მიმართულების მენეჯერის წარდგინებით ბრძანებით ამტკიცებს აკადემიის ხელმძღვანელი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელმაც დაძლია სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების პროგრამა.

- საბაზო ზოგადი განათლების პროგრამა, დაიშვება იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
- სრული ზოგადი განათლების პროგრამა, დაიშვება საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
- უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელმაც დაძლია სრული ზოგადი განათლების პროგრამა.

პროფესიული მომზადების პროგრამაზე ან პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი პროგრამით დადგენილ პირობებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისა და გაუქმების წესი

აკადემია პროგრამის შეცვლისა ან გაუქმების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობით.

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გადავიდეს აკადემიის ამავე ან მსგავსი მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროგრამით ან მოახდინოს მისთვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროფესიული პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, აკადემია უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობების განსაზღვრას არსებული პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინებს შორის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის გატარების შესახებ. პროფესიულ სტუდენტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში უღიარდება იმავე ან უფრო მაღალ საფეხურზე გავლილი ინტერდისციპლინარული საგნები.

შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამისათვის პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. დამატებით ინდივიდუალური გეგმით სწავლებისას პროფესიული სტუდენტი განთავისუფლებულია დამატებითი სწავლის გადასახადისგან. პროფესიული პროგრამის განხორციელების შეწყვეტის შემთხვევისათვის, აკადემია უზრუნველყოფს მსგავსი სახის პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმებებს პროგრამების თავსებადობის დადგენისა და აღნიშნულ დაწესებულებებში მობილობის გამარტივებული წესების შესახებ.

სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება

სასწავლო ცხრილი ძირითადი დოკუმენტია, რომელიც სასწავლო გეგმასთან და პროგრამებთან ერთად არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესს. კარგად შედგენილი და მეთოდურად დასაბუთებული სასწავლო ცხრილი განსაზღვრავს მთელი სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვას. სასწავლო ცხრილი წარმოადგენს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვადასხვა სამუშაოთა განაწილებას. ცხრილის შედგენაზე უშუალო პასუხისმგებელია სწავლების,

განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი. მეცადინეობის ცხრილი ერთნაირად სავალდებულოა როგორც პროფესიულ მასწავლებელთათვის/ინსტრუქტორებისთვის ისე პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისთვის.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურა ეფუძნება სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. .პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით, რომელიც ადგენს პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველების მიერ წარმოსადგენი საბუთების ჩამონათვალს. მიღების გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება აკადემიის ვებ გვერდზე და საინფორმაციო საშუალებებში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე. აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N 42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“-ს შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია აკადემიის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ბრძანება პირის კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად წარსადგენი დოკუმენტები

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით დადგენილ ვადაში უნდა წარუდგინოს:

- აკადემიის მიერ დადგენილი ფორმის განცხადება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი,

რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო ან/და საშუალო საფეხურის დაძლევის გარეშე

პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვა

წარმოდგენილი საბუთების ანალიზისა ან/და პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება სპეციალური კომისია. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის საოქმო დადგენილების სახით და გადაეცემა აკადემიის ხელმძღვანელს. აკადემიის ხელმძღვანელი კომისიის რეკომენდაციისა და საბუთების ანალიზის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტების შესაბამის პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ.

სასწავლო რეგისტრაცია

ბრძანების გამოცემის შემდეგ პროფესიული სტუდენტი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია, რეგისტრაციის ვადებს სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერის წარდგინებით განსაზღრავს აკადემიის ხელმძღვანელი

სასწავლო ხელშეკრულება

პროფესიული სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ აუცილებელ რეკვიზიტებს:

- დაწესებულების დასახელება და სარეგისტრაციო მონაცემები;
- პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია; არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის შესაბამისი ინფორმაცია.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და საფეხური, რომელზედაც ჩარიცხულია პროფესიული სტუდენტი;

- მხარეთა ურთიერთმოვალეობები და პასუხისმგებლობა მათი შეუსრულებლობისათვის; ე) ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და ვადა; ვ) მხარეთა ან მათი წარმომადგენლების ხელმოწერები.
- ხელშეკრულებას ხელს აწერს, აკადემიის ხელმძღვანელი ერთი მხრიდან და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, ან არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი - მეორე მხრიდან.
- ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს, ხოლო მეორე ეგზემპლიარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს აკადემიას განცხადებით, მისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და მისი სასწავლო პროცესში მონაწილეობისგან და პროფესიული სტუდენტის სხვა უფლება - მოვალეობებისგან დროებით განთავისუფლების თაობაზე. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნა დაუშვებელია, თუ პროფესიულ სტუდენტს გააჩნია განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებობს მისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

- ავადმყოფობა;
- უცხო ქვეყანაში სწავლა;
- სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
- პროფესიული სტუდენტის მიერ აკადემიასთან კავშირის გაწყვეტა, შესაბამისი მიზეზების დადგენამდე;
- მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;
- კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები;

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, აკადემია და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების

შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია თუ კი აღმოფხვრილი იქნება ის გარემოებები რაც გახდა პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს. აკაცდემიის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე, სტუდენტი მიიჩნევა სტატუსშეჩერებულ პირად.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემდეგ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე, იმავე პროფესიული (პროგრამის გაუქმების შემთხვევაში მსგავსი) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ამისთვის, პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს აკადემიას, ან მის უფლებამონაცვლეს და ითხოვოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენას სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდეგ, პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ ეტაპიდან, როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. პროფესიულ სტუდენტს სტატუსის აღდგენის შემთხვევაში უნარჩუნდება გავლილი კრედიტები/ დადასტურებული სწავლის შედეგები. თუ პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენა ხორციელდება ისეთ პერიოდში, როდესაც პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება კრედიტების სრულყოფილად ათვისება, კოლეჯი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ.

პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტა

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

- შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- პირადი განცხადება;
- საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნის მიღწევის შეუძლებლობა აკადემიური მოუსწრებლობის გამო, თუ პროფესიული სტუდენტი ზედიზედ სამჯერ ვერ ახერხებს სასწავლო დისციპლინის წარმატებით გავლას;
- კანონიერ ძალაში შესული განაჩენი პროფესიული სტუდენტის ნაკლებად მძიმე, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას;
- აკადემიის სხვადასხვა მარეგულირებელი აქტების, შინაგანაწესის, დებულების და სხვა შიდასამართლებრივ აქტების უხეში ან/და სისტემატური დარღვევა, რაც მნიშვნელოვან სზიანს მიაყენებს, აკადემიას მის პროფესიულ სტუდენტებს, თანამშრომლებს;
- დაწესებულებისათვის ყალბი დოკუმენტის, არასწორი ინფორმაციის წარდგენა, რაც საფუძვლად დაედო პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას; ზ) მოდულის „ქართული ენა A2“ ან მოდულის „ქართული ენა B1“ დაუდასტურებლობა;
- გარდაცვალება.
- კანონით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

აკადემია ვალდებულია პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს აცნობოს დაინტერესებულ პირს აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია, მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის საშუალება. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მობილობის წესი

მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის აკადემიის ან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების) პროფესიული სტუდენტი. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი. კოლეჯისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში, კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის ისინი, ვისაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში.

აკადემია უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:

- ჯგუფში არის პროფესიულ სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და აკადემიას არ ჰყავს ამავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სხვა ჯგუფი;
- გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკადემია ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლობს შიდა ან გარე მობილობით. შიდა მობილობა გულისხმობს აკადემიის შიგნით ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზე

გადასვლას.გარე მობილობა გულისხმობს პროფესიულ სტუდენტის გადმოსვლას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ან კოლეჯის პროფესიული სტუდენტის გადასვლას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

აკადემია უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის შიდა ან გარე მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

- აკადემიას არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
- აკადემია ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;
- მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს აკადემიის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საბოლოო გადაწყვეტილებას, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ, იღებს აკადემიის ხელმძღვანელი

პროფესიული სტუდენტის ფინანსური ვალდებულებები

პროფესიულ სტუდენტს კოლეჯის წინაშე ეკისრება შემდეგი ფინანსური ვალდბულებები:

- აკადემიის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დაზიანების შემთხვევაში გადაიხადოს ზარალის ასანაზღაურებელი თანხა;
- ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში გადაიხადოს წიგნის ღირებულების თანხა.

პროფესიული სტუდენტის უფლებები

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტების უფლებებში შეზღუდვა, თუ იგი არ ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას,

მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული ამ წესდებით დადგენილი მიზნებისა და
პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისათვის. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია:

- მოსთხოვოს აკადემიის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;
- ისარგებლოს სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- მიიღოს ადმინისტრაციისგან ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა რესურსების შესახებ;
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით;
- მიიღოს მონაწილეობა აკადემიის მიერ განხორციელებულ სასწავლო პროცესის შეფასებაში.

პროფესიული სტუდენტის მოვალეობები

როფესიული სტუდენტი ვალდებულია:

აიცვას კანონმდებლობის, წინამდებარე წესდების, შინაგანაწესის და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;

შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნები;

ეასრულოს აკადემიასთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

პროფესიული სტუდენტის წახალისება

სწავლასა და აკადემიის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის პროფესიული სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას წახალისების შემდეგი ფორმა:

- მადლობის გამოცხადება;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- ადრე შეფარდებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა.

დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები

დისციპლინური პასუხისმგებლობა წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახეს, რომელიც გამოიყენება აკადემიის პროფესიული სტუდენტების მიმართ, მათ მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. აკადემიის პროფესიული სტუდენტების მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენად ჩაითვლება ამ წესით და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება, აგრეთვე ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების უხეში დარღვევა. პროფესიული სტუდენტის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სახდელები:

- შენიშვნა;
- გაფრთხილება;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

დისციპლინური საქმისწარმოებისას გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და აკადემიის შინაგანაწესის შესაბამისი ნორმები.

პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაცია

პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტაციის საჭიროება არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც პირი იწყებს სწავლას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან აგრძელებს სწავლას გარე თუ შიდა მობილობის საფუძველზე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და/ან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ადაპტაციისთვის საჭირო აქტივობები შეიძლება დაიგეგმოს როგორც ჯგუფურად ისე

ინდივიდუალურად. სასწავლო წლის დასაწყისში პროფესიული სტუდენტებისთვის ორგანიზდება კვირეული, რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

- აკადემიის ინფრასტრუქტურის გაცნობა;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პროცედურების წარდგენა;
- პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული მასწავლებლების გაცნობა;
- სტუდენტური მომსახურებების პრეზენტაცია;
- კლუბური და სოციალური აქტივობები.

სტუდენტური სერვისების განვითარების, პროფორიენტაციის, კარიერული სერვისების განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერი პასუხისმგებელია ინტეგრაციის პროცესში სტუდენტებთან რეგულარულ კომუნიკაციაზე. ინტეგრაციის პროცესში აკადემიური მიმართულებით მხარდაჭერასა და კონსულტაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერსა და შესაბამისი მოდულის განმახორციელებელს. პირველკურსელებს ან მობილობით გადმოსულ პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა ჩაერთონ სტუდენტურ კლუბებში, საგანმანათლებლო და სოციალური პროექტებში. აკადემია ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას და წაახალისებს ინიციატივებს.

ადმინისტრაციულ-საინფორმაციო მხარდაჭერა

აკადემია უზრუნველყოფს სტუდენტებს სრულფასოვანი ადმინისტრაციული მომსახურებით, მათ შორის:

- ცნობის, შეფასების ფურცლისა და დიპლომის დროული გაცემით;
- მობილობისა და სტატუსის აღდგენის საკითხების ეფექტიანი მართვით;
- განრიგისა და შეფასებების ხელმისაწვდომობით.

ყველა პროცედურა სრულდება კანონით დადგენილ ვადებში აკადემიის საქმისწარმოების წესის შესაბამისად. ადმინისტრაციული მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელი პირია საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მენეჯერი.

სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური გარემოს უზრუნველყოფა

აკადემია უზრუნველყოფს თანამედროვე, უსაფრთხო და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც მოიცავს:

- კომპიუტერულ ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას, დასასვენებელ ზონებსა და ინტერნეტზე წვდომას;
- პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტს.

აკადემია შშმ სტუდენტებს სთავაზობს სრულად ადაპტირებულ გარემოს, ასევე სასწავლო რესურსების ადაპტირებას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისად. აკადემიური მიმართულებით მხარდაჭერასა და კონსულტაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერსა და შესაბამისი მოდულის განმახორციელებელს. პროფესიული სტუდენტის მიმართვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი გეგმავს კონსულტაციის დროს და საჭიროებისამებრ ადგენს კონსულტაციების გრაფიკს მოდულის განმახორციელებელთან შეთანხებით.

არაფორმალური განათლებისა და სტუდენტური ინიციატივების წახალისების მექანიზმები

აკადემია ხელს უწყობს არაფორმალურ განათლებასა და სტუდენტური ინიციატივების განვითარებას:

- საგანმანათლებლო პროექტები, სტარტაპები, სამოქალაქო ინიციატივები;
- სპორტული, შემოქმედებითი, ეკო და მოხალისეობრივი აქტივობები.

.ინიციატივის წარსადგენად საჭიროა მინიმუმ 3 სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი განაცხადი. განაცხადების განხილვა ხორციელდება აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ . აკადემია უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას ინიციატივების წარდგენის შესაძლებლობებზე და სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის მხარდაჭერას. სტუდენტებს, სტუდენტურ

ჯგუფებს ან სტუდენტურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ წარადგინონ ინიციატივები აკადემიაში მოქმედი წესის შესაბამისად. ინიციატივა უნდა შეიცავდეს:

- აქტივობის მიზანსა და აღწერას;
- მოსალოდნელ შედეგებსა და სარგებელს;
- საჭირო რესურსების ჩამონათვალს;
- პასუხიმგებელ პირებს ან ჯგუფს;
- განსახორციელებელი ღონისძიების სავარაუდო ვადებს.

ინიციატივის წარდგენა ხდება ელექტრონულად ან წერილობით, სტუდენტური სერვისების განვითარების, პროფორიენტაციის, კარიერული სერვისების განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერთან.

სისტემური ღონისძიებები სტუდენტთა მხარდაჭერისთვის

მოიცავს შემდეგ ქვესეგმენტებს:

- ადაპტაცია და ჩართულობა – პირველკურსელთა კვირეული, უკუკავშირის კვირეული, სემესტრული შეხვედრები;
- არაფორმალური განათლება – ინიციატივების კონკურსი, ბაზრობა, მოხალისეობა;
- სამოქალაქო ცნობიერება – დისკუსიები, ღირებულებების კვირეული, წიგნის კლუბი;
- კარიერული განვითარება – კარიერის დღეები, მენტორობა, სტაჟირება;
- ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა – მხარდაჭერის კვირეული, ემოციური ინტელექტის ვორქშოფები, სტრესის მართვის ტრენინგები.

ღონისძიებების შეფასება ხორციელდება პასუხისმგებელი პირების მიერ უკუკავშირის საფუძველზე.

არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები

პროფესიულ სტუდენტთა მიერ კარიერული ნაბიჯების წარმატებით გადადგმის ხელშეწყობის მიზნით დაწესებულების მიერ გამოყოფილი სტუდენტური

სერვისების განვითარების, პროფორიენტაციის, კარიერული სერვისების განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერი აწვდის განახლებულ ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ასევე ახდენს მათ კონსულტირებას, რაც ხორციელდება როგორც დაწესებულების მხრიდან პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებათა შესწავლის საფუძველზე, აგრეთვე, პროფესიული სტუდენტის მიერ მომართვის შემთხვევაშიც.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერა

აკადემია პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას აკადემიის პარტნიორი კომპანიებისა და აღნიშნულ კომპანიათა მიერ შემოთავაზებული დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. კურსდამთავრებულთა ბაზაში ასახულია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ინფორმაცია და აღნიშნული ბაზა ახლდება ყოველი კურსის დასრულებისთანავე. რაც შეეხება დამსაქმებელთა ბაზას, მასში ასახული იქნება პოტენციური დამსაქმებლების აქტიური ვაკანსების შესახებ ინფორმაცია. დამსაქმებელთა ბაზის განახლების მიზნით ინფორმაციის მოძიება და აღნიშნულის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ბაზის განახლება ხორციელდება კვირაში ერთხელ. პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება შესაბამისი ვაკანსიების შესახებ მოხდება ჯგუფური შეხვედრების ფარგლებში. კურსდამთავრებულთა ინფორმირება კი ხორციელდება ინდივიდუალურად სატელეფონო კომუნიკაციის/ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

პროფესიული სტუდენტთა კლუბი

პროფესიული სტუდენტთა კლუბი წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა ნებაყოფლობით გაერთიანებს.პროფესიული სტუდენტთა კლუბი იქმნება პროფესიულ სტუდენტთა უფლებების და პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზების მიზნით. პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან საკუთარი ინტერესებისა და

შესაძლებლობის რეალიზებისათვის გაერთიანდნენ სტუდენტურ კლუბში, შექმნან სტუდენტური კლუბის შიდა დებულება, განსაზღვრონ პროფესიული სტუდენტური კლუბის სტრუქტურა, დაგეგმონ სტუდენტური აქტივობები და ა.შ. სტუდენტური კლუბი დამოუკიდებელი ორგანოა და არავის არ ექვემდებარება. სტუდენტურ კლუბს შეიძლება ჰქონდეს სკაუთარი ბიუჯეტი, პროფესიულ სტუდნეტთა შემოწირულობების საფუძველზე. სტუდენტური კლუბის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან აკადემიის შინაგანაწესი და პროფესიულ სტუდენტთათვის დადგენილი ქცევის წესები.

არაფორმალური განათლებისა და ფორმალური განათლების აღიარება

არაფორმალური განათლებისა და ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესებით. რეგულირებადი პროფესიის ფარგლებში არაფორმალური განათლების აღიარება ხდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებისას შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შეიძლება დადგინდეს ერთი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სხვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან შესაბამისობა, მათი ფორმულირების მიუხედავად.

აკადემიის ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება სპეციალური დარგობრივი კომისია, რომელიც უზრუნველყობს ამა თუ იმ საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნებისთვის არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებისა და შესაბამისი დარგის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან მისი შედარების გზით.

უცხოეთში მიღებული პროფესიული განათლების აღიარება

უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების

აღიარება ხდება სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს მოქალაქისთვის ჩარიცხვის დადგენილი წესით, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

საგანმანათლებლო დოკუმენტი

პროფესიული სტუდენტი, რომელიც წარმატებით დაძლევს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, იღებს დიპლომს საქართველოს განათლების, მეცნიერების და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმით. დიპლომთან ერთად კურსდამთავრებული იღებს დიპლომის დანართს. პროფესიული დიპლომი გაიცემა პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ. დიპლომის დაკარგვის შემთხვევაში გაიცემა დიპლომის დუბლიკატი. ამ შემთხვევაში დაკარგვის ფაქტი უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტაციით.

თავისუფალი ხედვის აკადემია

მისამართი: ქ. თბილისი, თრიალეთის #50;

ტელეფონი: +995 598 80 12 80

E-Mail: Info@fva.edu.ge, Freeeduge@gmail.com ;

ვებსაიტი: www.fva.edu.ge;

სოც-მედია: Facebook link , Instagram link;